

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენს  
ქალბატონ მეგ ტეილორს

2121 პენსილვანიის გამზირი, NW  
MSN F 11K-1116  
ვაშინგტონი, DC 20433 აშშ  
ფაქსი: 202 522-7400  
ელ-ფოსტა: [cao-compliance@ifc.org](mailto:cao-compliance@ifc.org)

ჩვენ ვაღეს მცხოვრებნი: გედევან გოზალიშვილი, ვანო გოზალიშვილი, ვალიკო ჩიტაშვილი, ჯიმშერ თელიაშვილი, ივანე ჩიტაშვილი, ზურაბ გოზალიშვილი, ნოდარ გოზალიშვილი, ვანტანგ ჩიტაშვილი, ლეილა ხითარიშვილი, ტარიელ ხითარიშვილი, ალექსანდრე ჯანაშვილი, ბადრი გოზალიშვილი, ჟენია მანველოვი, ვანო ჯანაშვილი, რევაზ ხითარიშვილი, ლილი თათეშვილი, თამაზ გოზალიშვილი, პავლე ხითარიშვილი, კობა ხითაროვი, ნოდარ ჩიტაშვილი, თინა მანველოვი, მალხაზ მანველიშვილი, შალვა ხითარიშვილი, ივანე ხითარიშვილი, თენგიზ ჩიტაშვილი, პაატა ჩირგაძე, დავით გიორგაძე, ნოსრევან გიორგაძე, ვაჟა მანველიშვილი, ნოდარ კობაძე, რევაზ ჩიტაშვილი, მოემართავთ თხოვნით განიხილოთ ჩვენი საჩივარი, რომელიც შეეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (ბთჯ) მთავარი საექსპორტო მილსადენის პროექტს. ეს საჩივარი დაწერილია ჩვენს მიერ და ჩვენი სახელი და მისამართი თანდართულია საჩივარზე.

წარმომადგენელი  
გედევან გოზალიშვილი  
მისამართი: ახალციხე, ქ. ვალე მანველიშვილის №8  
ტელეფონი: (+ 99 5 99) 31-72-84  
[tghvaladze@gyla.ge](mailto:tghvaladze@gyla.ge)

## 1. სარჩელის საფუძველი:

პროექტის სახლი: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენი  
ადგილმდებარეობა: აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი  
სარჩელის ადგილი: საქართველო, ახალციხის რაიონი, ქალაქი ვალე.

ბთჯ ნავთობსადენის პროექტი მოიცავს ნელლი ნავთობის გადასაზიდი სატრანსპორტო სისტემის განვითარებას, დაფინანსებას, მშენებლობასა და ოპერირებას. ამ სატრანსპორტო სისტემით დაგეგმილია ყოველდღიურად 1 მილიარდი ბარელი ნავთობის გადაზიდვა ბაქოს (აზერბაიჯანი) მახლობლად არსებული სანგაჩალის ტერმინალიდან, საქართველოს გავლით, ჯეიჰანის ახალ საექსპორტო ტერმინალამდე, თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

პროექტის ინვესტორმა – ბთჯ კომპანიამ, სპეციალურად შექმნილი საფინანსო კომპანიის BTC Finance B.V. საშუალებით ისესხა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისაგან 125 მილიონი აშშ დოლარი A კატეგორიის კრედიტის სახით და 125 მილიონი აშშ დოლარი B კატეგორიის კრედიტის სახით. გადაწყვეტილება კრედიტის გამოყოფის თაობაზე დამტკიცდა 2003 წლის ნოემბერში.

ბოჯ ნავთობსადენი ფინანსდება და ხორციელდება შემდეგი კომპანიების მიერ: SOCAR (აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანია); BP (დიდი ბრიტანეთი); TRAO (თურქეთი); Statoil (ნორვეგია); Unocal (აშშ); Itochu (იაპონია); Amerada Hess (აშშ); Eni (იტალია) ; TotalFinaElf (საფრანგეთი); INDEX (იაპონია) and Conoco Philips (აშშ).

## 2. ფონური ინფორმაცია:

2002 წლის 30 ნოემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გასცა გარემოსდაცვითი ნებართვა ბოჯ ნავთობსადენის მშენებლობაზე საქართველოში. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პროექტის სპონსორის მიერ საქართველოში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის მიწოდებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგშ) ანგარიშის, დამატებითი მასალებისა და ზუსტი რუკების საფუძველზე, რომლის თანახმად, ბოჯ ნავთობსადენი კვეთს საქართველოს 7 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს: გარდაბნის რაიონი; მარნეულის რაიონი; თეთრიწყაროს რაიონი; წალკის რაიონი; ბორჯომის რაიონი; ახალციხის რაიონი; ადიგენის რაიონი; ქ. რუსთავის ადმინისტრაციული საზღვარი.

ნავთობსადენის კომპანიის მიერ, როგორც ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებამდე, აგრეთვე მშენებლობის პერიოდში განხორციელდა ბოჯ ნავთობსადენის მშენებლობისათვის საჭირო მიწის (44 მეტრიანი სამშენებლო ღერეფანი) ნაკვეთების შესყიდვა, მათ შორის ჩვენ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების, მდებარე ქ. ვალე, ახალციხე.

ნავთობსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ბოჯ მილსადენის კომპანია, მათ მიერ შექმნილი დოკუმენტის – *“მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად”, იღებდა შემდეგ ვალდებულებებს:*

- *“პროექტის მიწის შეძენის ჯგუფი და მშენებელი კონტრაქტორი განახორციელებენ საბოლოო შემოწმებას, მიწის თავდაპირველ მესაკუთრეებთან/ მოსარგებლებთან ერთად, მთელ იმ მიწაზე, რომელიც გამოყენებულ იქნება მშენებლობის პერიოდის განმავლობაში. საბოლოო შემოწმების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ მიწა დატოვებულ იქნება სათანადო მდგომარეობაში, მიწაზე თავდაპირველი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხლებისათვის, უსაფრთხოებაზე შეზღუდვების გათვალისწინებით” (“მიწის შეძენის და კომპენსაციის სახელმძღვანელო” თავი 9 “საბოლოო შემოწმება”, გვ.18-19).*
- *“მშენებლობის დასრულების შემდეგ, იმ მიწის გარდა, რომელიც საჭირო იქნება მუდმივი მიწისზედა ნაგებობებისათვის, გარკვეული უსაფრთხოების შეზღუდვების დაცვის მოთხოვნით, თავდაპირველ მესაკუთრეებს მოსარგებლებს მიეცემათ იმ მიწით სარგებლობის უფლება, რომელიც მანამდე ქონდათ დაკავებული. ასეთი უფლება თავდაპირველ მესაკუთრეებს ან მოსარგებლებს მიეცემათ ყოველგვარი საფასურის გარეშე” (“მიწის შეძენის და კომპენსაციის სახელმძღვანელო”, შესავალი, ქვეთავი – “მიწის საკუთრება და გამოყენება. გვ. 6).*
- *“მიწის და უძრავი ქონების ყველა დეფექტი აღნუსხული უნდა იყოს შესაბამის სიაში, მიწის თავდაპირველი მესაკუთრის/მოსარგებლის მიერ. ნებისმიერი კომპენსაცია, რომელიც საჭირო გახდება შემოწმების შემდგომ,*

გამოანგარიშდება ამ დოკუმენტში ზემოთ აღწერილი პროცედურების შესაბამისად, მაგრამ გამოყენებულ იქნება საბოლოო შემოწმების მომენტი სათვით არსებული საბაზრო ღირებულება” (“მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო”, თავი 9 – საბოლოო შემოწმება; გვ. 19).

- საბოლოო შემოწმების დროს მიწის მესაკუთრებს/მოსარგებლებს ასევე მიეწოდება ინფორმაცია გრძელვადიან მონიტორინგზე პასუხისმგებელი იმ ჯგუფის საკონტაქტო დეტალები რომელიც განიხილავს შემდგომ პრეტენზიებს, მაგ. დაბალი მოსავლიანობა (“მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო”, თავი 9 – საბოლოო შემოწმება; გვ.19).
- საბოლოო შემოწმების და ყველა პრეტენზიის მოგვარების შემდგომ, მიწის პირვანდელი მესაკუთრის/მოსარგებლის მიერ ხელმოწერილი იქნება დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს რომ იგი კმაყოფილია მიწის ხარისხით (“მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო”, თავი 9 – საბოლოო შემოწმება; გვ.19).

პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ბთჯ ნავთობსადენის კომპანიას, ჩვენი თანდასწრებით არ ჩაუტარებია 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის ინვენტარიზაცია, რაც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ შემუშავებული დოკუმენტის, “მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო”-თი, როგორც კომპანიის ერთერთი ვალდებულება. უნდა აღინიშნოს, ამ ვალდებულების შეუსრულებლობით, თავიდანვე არ იქნა დაფიქსირებული, როგორც 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის, აგრეთვე 58 მეტრიან უსაფრთხოების ზონაში მოქცეული მიწის ინვენტარიზაცია.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ვალდებულებებისა, ბთჯ ნავთობსადენის კომპანიის მიერ არ შესრულებულა არცერთი ვალდებულება. კერძოდ:

- მიწის ყოფილი მესაკუთრების/მოსარგებლების თანდასწრებით არ განხორციელებულა 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის საბოლოო შემოწმება. მართალია კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ განხორციელდა 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის საბოლოო შემოწმება, მაგრამ არ არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს მიწის საბოლოო შეფასების პროცესში მიწის ყოფილი მესაკუთრების/მოსარგებლების მონაწილეობის ფაქტს. ჩვენი ინფორმაციით ბთჯ ნავთობსადენის კომპანიის მიერ არ განხორციელებულა 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის საბოლოო შემოწმება, რაც დასტურდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის ინსპექციის ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახურის 2008 წლის 4 ივლისს მოწერილი წერილით. კერძოდ, წერილში აღნიშნულია შემდეგი: “რაც შეეხება თქვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, რომელიც ეხება ვასხვისების დერეფანში მოქცეული მიწის საბოლოო შემოწმების ანგარიშს, ასეთი შინაარსის დოკუმენტი სამინისტროს არ მიუღია და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მსგავსი სახის სამუშაო BTC Co-ს არ განუხორციელებია” (იხ. დანართი №12).

მართალია, ბთჯ ნავთობსადენიდან მიღებული წერილით თითქოს 2006 წლის განმავლობაში, კომპანიის მიწის შეძენის ჯგუფის, მშენებელი კონტრაქტორისა და მიწათმოსარგებლების თანდასწრებით განხორციელდა მშენებლობის შემდგომ მიწის საბოლოო შემოწმება (იხ. დანართი №3), მაგრამ აღნიშნული

არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ მიწის ყოფილ მესაკუთრეებს/მოსარგებლებს მონაწილეობა არ მოგვიღია შემოწმების შედეგად იმ მარტივი მიზეზის გამო რომ მიწის საბოლოო შემოწმება კომპანიის მხრიდან არ განხორციელებულა.

- მიწის ყოფილი მესაკუთრეები/მოსარგებლები არ ვფლობთ ინფორმაციას 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის მდგომარეობის შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნეთ ჩვენ მონაწილეობა არ მიგვიღია მიწის შემოწმების პროცესში, აგრეთვე ჩვენთვის უცნობია ჩვენგან დამოუკიდებლად ჩატარდა თუ არა 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის საბოლოო შემოწმება, მიწის ხარისხის მონიტორინგი, რადგან მონიტორინგის მასალაზე ბოჯ ნავთობსადენის კომპანიის წამომადგენლებს ჩვენთვის არ მოუწოდებიათ;

ბოჯ ნავთობსადენის კომპანიიდან 2008 წლის 16 იანვარს, მიღებული წერილით ირკვევა, რომ 2007 წლის აგვისტო-სექტემბერში განხორციელდა კომპანიის საკუთრებაში არსებული, 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის აღდგენითი სამუშაოების ხარისხის მონიტორინგი (იხ. დანართი №7).

ამავე წერილში აღნიშნულია, რომ “ამავე დროს გაცნობებთ, რომ ვერ დავაკმაყოფილებთ თქვენს მოთხოვნას მონიტორინგის შედეგების გადაცემასთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტაცია, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ განეკუთვნება სხვა პირთათვის გადასაცემ ინფორმაციის კატეგორიას” (იხ. დანართი №7).

კომპანიიდან მიღებული წერილით დასტურდება, რომ ჩვენთვის უცნობია 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის მდგომარეობა, ხარისხი მილსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ.

- მიწის ყოფილი მესაკუთრეები/მოსარგებლები არ ვფლობთ ინფორმაციას/უცნობია მიწის გრძელვადიანი მონიტორინგის ჯგუფის შესახებ, რომელიც განიხილავს დაბალი მოსავლიანობის და კომპენსაციის საკითხს, უფრო მეტიც ჩვენთვის ამ ეტაპზე უცნობია ბოჯ ნავთობსადენის კომპანიაში არსებობს თუ არა მსგავსი ჯგუფი და ვინ არიან მათი წევრები.
- ბოჯ ნავთობსადენის კომპანია მიწის სარგებლობით უკან დაბრუნების სანაცვლოდ ითხოვს სერვიტუტის ხელშეკრულების გაფორმებას ჩვენ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, კერძოდ იმ 58 მეტრიანი უსაფრთხოების ზონისათვის, რომელიც მოქცეულია 44 მეტრიანი სამშენებლო დერეფნის მიღმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოჯ მილსადენი კომპანია მიწის ყოფილ მესაკუთრეებს არ გვიბრუნებს სარგებლობის უფლებით 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოქცეულ მიწის ნაკვეთს. ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც, კომპანიის მიერ შემუშავებული დოკუმენტის “მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს” შესაბამისად, ბოჯ ნავთობსადენის კომპანია იღებს ვალდებულებას, უსასყიდლოდ, შესაბამისი შეზღუდვებით, 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის სარგებლობის უფლებით ჩვენთვის, მიწის ყოფილი მესაკუთრეებისათვის/მოსარგებლებებისათვის უკან დაბრუნების შესახებ;
- ბოჯ ნავთობსადენის კომპანია “სერვიტუტის” ხელშეკრულების გაფორმების დროს კომპენსაციის კალკულაციას ახდენს 2002 წელს მის მიერ

დაანგარიშებული ფასების შესაბამისად. სამწუხაროდ კომპანიის მიერ “სერვიტუტის” ხელშეკრულების დადების დროს გათვალისწინებული არ არის მიწის მესაკუთრეების ინტერესები და 2002-2008 წ.წ. საქართველოში ეროვნული ვალუტის ინფლაციის პროცესი (იხ. დანართი №10).

- მიწის მესაკუთრეები არ ვფლობთ ინფორმაციას თუ რა ბედი ეწევა ჩვენ საკუთრებაში არსებულ ნარგავებს (კაკლის ხეები), რომლებიც მოქცეულია 58 მეტრიან უსაფრთხოების ზონაში, რადგან აღნიშნული საკითხი დარეგულირებული არ არის “სერვიტუტის” ხელშეკრულებით.

### **3. მე განვიცადე, ან შესაძლებელია განვიცადო პროექტის სოციალური ან ეკონომიური ზემოქმედება შემდეგი სახით:**

- ბოჯ მილსადენის კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, ზოგიერთი ჩვენთაგანი იძულებული გახდა ხელი მოეწერა “სერვიტუტის” ხელშეკრულებისათვის და დათანხმებოდა კომპანიის წარმომადგენლების მიერ შემოთავაზებულ მიზეზულ კომპენსაციას. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზს წარმოადგენს კომპანიის წარმომადგენლების განცხადება. კერძოდ მათი თქმით, სახელმწიფო შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებ იქნებოდა კანონი, რომლითაც დაგვეკარგებოდა კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს სამართლებრივი დოკუმენტი/საფუძველი, რომელიც მიწის მესაკუთრეებს ბოჯ ნავთობსადენის კომპანიის სასარგებლოდ “უსასყიდლო” სერვიტუტის ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებას დაგვაკისრებს.

სერვიტუტის ხელშეკრულების დადების და ანაზღაურების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 457-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრავს სერვიტუტის ხელშეკრულებისთვის საჭირო საზღაურის ოდენობასა და მისი გადახდის პერიოდულობას:

“საზღაური შეიძლება განისაზღვროს პერიოდული გადასახდელის სახით.”

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს რომ, სერვიტუტის ხელშეკრულების დადების დროს, საზღაურის განსაზღვრა და გადახდის პერიოდულობა დამოკიდებულია ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებაზე და არა რომელიმე მხარის მოთხოვნაზე.

- ბოჯ ნავთობსადენის კომპანია, საბოლოო შემოწმების გარეშე ახორციელებს ჩვენთვის, მიწის ყოფილი მესაკუთრეებისთვის/მოსარგებლეებისთვის 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის “სარგებლობის” უფლებით უკან დაბრუნებას. მაშინ, როდესაც ჩვენთვის უცნობია შესაძლებელია თუ არა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმოება, მიწის კულტივირება/დამუშავება და შესაბამისი მოსავლის მიღება.
- ბოჯ ნავთობსადენის კომპანიის მიერ 58 მეტრიანი უსაფრთხოების ზონის იმ ნაწილში, რომელიც მოქცეულია 44 მეტრიანი დერეფნის მიღმა, ბოჯ მილსადენის კომპანიის მიერ “სერვიტუტის” ხელშეკრულების გაფორმებისას, ჩვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებისათვის კომპენსაციის კალკულაცია ხორციელდება 2002 წელს მათ მიერ დადგენილი ფასების შესაბამისად. კომპანიის მიერ არ არის გათვალისწინებული 2002-2008

წ.წ. საქართველოში ეროვნული ვალუტის ინფლაცია და შესაბამისად, ფასების ზრდა (იხ. დანართი №9).

- ჩვენთვის საერთოდ უცნობია ბოჯ ნავთობსადენის კომპანიაში შექმნილია თუ არა პროექტის გრძელვადიან მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფი, მათი საკონტაქტო დეტალები, რომელიც განიხილავს პრეტენზიებს 44 მეტრიან სამშენებლო ღერეფანში მოქცეული მიწის დაბალი მოსავლიანობისა და კომპენსაციის საკითხს;
- ჩვენთვის უცნობია, რა პერიოდის განმავლობაში და როგორ მოხდება დაბალი მოსავლიანობის საკითხის გარკვევა, აგრეთვე შესაბამისი კომპენსაციის დაანგარიშება და გადახდა.
- ჩვენთვის უცნობია, სერვიტუტის ხელშეკრულების გაფორმების დროს როგორ გადაწყდება 58 მეტრიან უსაფრთხოების ზონაში მოქცეული იმ ხე-ნარგავების (მაგ. კალის ხეები) საკითხი, რომელთა არსებობა გათვალისწინებული არ არის სერვიტუტის ხელშეკრულების შეზღუდვების დანართით. საკითხი აღნიშნულთან დაკავშირებით დარეგულირებული არ არის ხელშეკრულებით.

#### 4. საკითხის მოსაგვარებლად ჩვენს მიერ განხორციელებულ იქნა შემდეგი სახის ქმედებები:

2007 წელს დაუკავშირდით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (იხ. დანართი №1). მათი დახმარებით, განხორციელებულ იქნა შემდეგი ქმედებები:

- 2007 წლის 19 მარტს, განცხადებით მიემართეთ ბოჯ ნავთობსადენის კომპანიას, სადაც ვითხოვდით ინფორმაციას იმ ჯგუფის შესახებ, რომელიც ახორციელებს დაბალი მოსავლიანობის და კომპენსაციის გამოანგარიშებას, აგრეთვე მიწის აღდგენითი სამუშაოების ხარისხის მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლებს (იხ. დანართი №2).

2007 წლის 23 აპრილს, ბოჯ ნავთობსადენის კომპანიის მიერ გამოგზავნილი წერილის საფუძველზე ირკვევა, რომ მიწის საბოლოო შემოწმება უკვე განხორციელებულ იქნა ნავთობსადენით გადაკვეთილ ტერიტორიაზე მიწის ყოფილ მესაკუთრეების/მოსარგებლეების მონაწილეობით, თუმცა კომპანიის წამომადგენიდან ვერ მივიღეთ შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებს მიწის ყოფილი მესაკუთრეების/მოსარგებლეების მონაწილეობას მიწის საბოლოო შემოწმების პროცესში. წერილიდან ირკვევა, რომ 2007 წლის შემოდგომიდან კომპანიის მიწის შეძენის ჯგუფი საჭიროების შესაბამისად, აპირებს მიწის აღდგენითი სამუშაოების ხარისხის მონიტორინგს (იხ. დანართი №3);

- 2007 წლის 13 ივლისს, განცხადებით მიემართეთ ბოჯ ნავთობსადენის კომპანიას და მოვითხოვეთ მიღსადენით გადაკვეთილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ჩატარებული მიწის საბოლოო შემოწმების შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (იხ. დანართი №4).

2007 წლის 17 აგვისტოს, ბოჯ ნავთობსადენის კომპანიიდან მიღებული წერილის შესაბამისად, ირკვევა: “მშენებლობის შემდგომ მიწის შემოწმება მიღსადენის მარშრუტის გასწვრივ განხორციელდა ყველგან, სადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის მიღსადენები გადის, განსაკუთრებით გარდაბნის მარნეულის, თეთრიწყაროს, ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის რაიონებში. დოკუმენტები მიწის აღდგენის შესახებ

კონფიდენციალურია და არ არის განკუთვნილი მესამე მხარის განხილვისთვის”  
(იხ. დანართი №5);

- 2007 წლის 21 დეკემბერს, განცხადებით მიემართეთ ბოჯ ნავთობსადენის კომპანიას და მოვითხოვეთ 44 მეტრიან სამშენებლო ღერეფანში მოქცეული მიწის აღდგენითი სამუშაოების ხარისხის მონიტორინგის ამსახველი ღოკუმენტები, ბოჯ ნავთობსადენის კომპანიაში შექმნილი გრძელვადიანი მონიტორინგის ჯგუფის შესახებ ინფორმაცია და აგრეთვე, ჯგუფის წევრების საკონტაქტო მონაცემები (იხ. დანართი №6).

2008 წლის 16 იანვარს, ბოჯ ნავთობსადენის კომპანიიდან მიღებული წერილით ირკვევა, რომ *“2007 წლის აგვისტო-სექტემბერში განხორციელდა კომპანიის საკუთრებაში არსებული სამშენებლო ღერეფანში მოქცეული მიწის აღდგენითი სამუშაოების ხარისხის მონიტორინგი მთელი ტრასის გასწვრივ”*. წერილში მითითებულია, რომ მონიტორინგის შედეგების გაცნობასთან დაკავშირებით, კომპანია ვერ დააკმაყოფილებს ჩვენ მოთხოვნას იმ მიზნით, რომ *“ეს ღოკუმენტაცია მისი შინაარსიდან გამოძინარე არ წარმოადგენს სხვა პირთათვის გადასაცემ ინფორმაციის კატეგორიას”* (იხ. დანართი №7).

- 2008 წლის 19 მარტს ბოჯ ნავთობსადენის კომპანიიდან მიღებული წერილის თანახმად, კიდევ ერთხელ დასტურდება ზემოაღნიშნულ საკითხებზე ბოჯ ნავთობსადენის კომპანიის მიდგომა/დამოკიდებულება, რაც ჩვენთვის სიანლეს არ წარმოადგენდა. წერილში კომპანიის წარმომადგენელი არ უარყოფს რომ 44 მეტრიან სამშენებლო ღერეფანში მოქცეული მიწა შეძლებისდაგვარად არის აღდგენილი. რომ ბოჯ ნავთობსადენის კომპანია სერვიტუტუის ხელშეკრულებისათვის იხდის მაქსიმუმს და ა შ. რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რეალობას (იხ. დანართი №8).

- 2008 წლის აპრილის თვეში, ბოჯ ნავთობსადენის კომპანიის წარმომადგენელთან – გაი ღვალაძესთან შეხვედრის დროს გამოვარკვიეთ შედეგი: ბოჯ ნავთობსადენის კომპანია აპირებს 44 მეტრიან ღერეფანში მოქცეული მიწის მდგომარეობის მონიტორინგს მიწის ყოფილი მესაკუთრეების/მოსარგებლეების თანდასწრებით, აგრეთვე კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ განხორციელდება 58 მეტრიან უსაფრთხოების ზონაში მოქცეული იმ ნარგავების კომპენსაცია, რომელიც მოქცეულია 44 მეტრიან სამშენებლო ღერეფანის მიღმა დაშვებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვების დანართით. უფრო მეტიც, კომპანიის წამომადგენელმა განაცხადა, რომ ბოჯ ნავთობსადენის კომპანია ნარგავების მესაკუთრეებს არ მოთხოვს ნარგავების მოჭრას, თუმცა ეს საკითხი ღოკუმენტურად, კერძოდ, სერვიტუტუის ხელშეკრულებით არ არის დარეგულირებული.

- 2008 წლის 3 ივნისს, მიემართეთ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას სტატისტიკის დეპარტამენტს და მოვითხოვეთ ინფორმაცია 2002 წლის იანვრიდან 2008 წ. მაისის ჩათვლით საქართველოში ეროვნული ვალუტის ინფლაციის დონის შესახებ (იხ. დანართი №9);

2008 წლის 11 ივნისს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე 2001 წლის დეკემბრიდან 2008 წლის მაისში

ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსი 162,4 პროცენტი შეადგინა, ანუ ინფლაციის დონე საქართველოში ამ პერიოდში 62,4 პროცენტი იყო (იხ. დანართი №10).

- 2008 წლის 25 ივნისს, განცხადებით მიემართეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახურს და მოვითხოვეთ ბოჯ ნავთობსადენის კომპანიის მიერ წარმოდგენილ იქნა თუ არა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში 44 მერიან სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის საბოლოო შემოწმების ანგარიში (იხ. დანართი №11).

2008 წლის 4 ივლისს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან მიღებული წერიით ირკვევა შემდეგი: “რაც შეეხება თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, რომელიც ეხება გასზვისების დერეფანში მოქცეული მიწის საბოლოო შემოწმების ანგარიშს, ასეთი შინაარსის დოკუმენტი სამინისტროს არ მიუღია და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მსგავსი სახის სამუშაო BTC Co-ს არ განუხორციელებია” (იხ. დანართი №12).

## 5. საკონტაქტო პიროვნების სახელი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში:

ქალბატონი თეა გიგობერია

## 6. მე/ჩვენ დავუკავშირდით შემდეგ პირებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად:

- ბოჯ ნავთობსადენის კომპანიის მთავრობასა და მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობის მენეჯერს ბატონ ვია ღვალაძეს;
- ბოჯ ნავთობსადენის კომპანიის მიწის საკითხებისა და ნებართვების მენეჯერს ბატონ სტიუარტ დანკანს;
- ბოჯ ნავთობსადენის კომპანიის არასამთავრობო ირგანიზაციებთან ურთიერთობისა და სათემო საქმეთა კოორდინატორს ქალბატონ ეკატერინე გრიგალავას;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ გრიგოლ ფანცულაიას;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახურს;
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წარმომადგენლის თანაშემწეს ქალბატონ ნათია გოგსაძეს.

## 7. ქვემოთ მოცემულია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა ან ინვესტიციების მრავალმხრივი გარანტირების სააგენტოს პოლიტიკის, პროცედურების და სახელმძღვანელო დოკუმენტების ჩამონათვალი რომლებიც არ ყოფილა გათავალისწინებული:

პროექტის სპონსორების მიერ დარღვეული პოლიტიკა და პროცედურები:



8. მე/ჩვენ ვისურვებდით საჩივარი გადაწყდეს შემდეგი გზით:

მე/ჩვენ მოვითხოვთ შემდეგს:

1. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენმა გადაამოწმოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საკითხის შესწავლისას გამოძიების პროცესი, რათა გამოარკვიოს იყო თუ, არა მიმდინარე საკითხები შესაბამისად გამოძიებული და თუ იქნა გადადგმული საჭირო ნაბიჯები იმისათვის, რომ ეს პროექტი შესაბამისობაში ყოფილიყო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პოლიტიკასთან;
2. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენმა განიხილოს რამდენად შესაბამეა ბოჯ ნავთობსადენის კომპანიის მიერ განხორციელებული ქმედებები მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტის – “მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო”-თი გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებებს.
3. ბოჯ მილსადენის კომპანიის მიერ უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი თანდასწრებით მიწის საბოლოო შემოწმება და მონიტორინგის შედეგების გაცნობა მიწის ყოფილი მესაკუთრეების/მოსარგებლეებისათვის;
4. ინვენტარიზაციის დოკუმენტების გადაცემა, რომლის საფუძველზეც გაიკვივა მიწის თავდაპირველი მდგომარეობა.
5. სერვიტუტის ხელშეკრულებისათვის დაწესებული კომპენსაციის დაანგარიშებისას გათვალისწინებულ იქნას საქართველოში ეროვნული ვალუტის ინფლაცია;
6. სერვიტუტის ხელშეკრულების დადების დროს გათვალისწინებულ იქნას ჩვენ საკუთრებაში არსებული ხე-ნარგავების რაოდენობა და შესაბამისად აღნიშნული საკითხი დარეგულირდეს სერვიტუტის ხელშეკრულებით.
7. დადგინდეს კრიტერიუმები თუ როგორ გამოანგარიშდება დაბალი მოსავლიანობის საკითხი.

9. წინამდებარე საჩივარის განსამტკიცებლად შესაბამისი ფაქტები:

1. 2007 წელს განცხადებით მივმართეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას;
2. 2007 წლის 19 მარტს, განცხადებით მივმართეთ ბოჯ ნავთობსადენის კომპანიას;
3. 2007 წლის 23 აპრილს, ბოჯ ნავთობსადენის კომპანიიდან მიღებული წერილი;
4. 2007 წლის 13 ივლისს განცხადებით მივმართეთ ბოჯ ნავთობსადენის კომპანიას;
5. 2007 წლის 17 აგვისტოს, ბოჯ ნავთობსადენის კომპანიიდან მიღებული წერილი;
6. 2007 წლის 21 დეკემბერს, განცხადებით მივმართეთ ბოჯ ნავთობსადენის კომპანიას;
7. 2008 წლის 16 იანვარს, ბოჯ ნავთობსადენის კომპანიიდან მიღებული წერილი;
8. 2008 წლის 19 მარტს, ბოჯ ნავთობსადენის კომპანიიდან მიღებული წერილი;
9. 2008 წლის 3 ივნისს განცხადებით მივმართეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სტატისტიკის დეპარტამენტს;
10. 2008 წლის 11 ივნისს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სტატისტიკის დეპარტამენტის

- წერილი 2001-2008 წწ საქართველოში ეროვნული ვალუტის ინფლაციასთან დაკავშირებით;
11. 2008 წლის 25 ივნისს განცხადებით მივმართეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახურს;
  12. 2008 წლის 4 ივლისს, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის ინსპექციის ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახურის მიერ მიღებული წერილი.

**პატივისცემით:**

	სახელი, გვარი	მისამართი
1	გედევან გოზალიშვილი	ახალციხე, ვალე, მანველიშვილის ქ. №8
2	ჯიმშერ თელიაშვილი	ახალციხე, ვალე, ჭავჭავაძის ქ. №25
3	ვანო გოზალიშვილი	ახალციხე, ვალე, ჭავჭავაძის ქ. №48
4	ვალეკო ჩიტაშვილი	ახალციხე, ვალე, მანველიშვილის ქ. №4
5	ივანე ჩიტაშვილი	ახალციხე, ვალე, მანველიშვილის ქ. №3
6	ზურაბ გოზალიშვილი	ახალციხე, ვალე, ჭავჭავაძის ქ. №16
7	ნოდარ გოზალიშვილი	ახალციხე, ვალე, მანველიშვილის ქ. №37
8	ვახტანგ ჩიტაშვილი	ახალციხე, ვალე, მანველიშვილის ქ. №34
9	ლეილა ხითარიშვილი	ახალციხე, ვალე, ჭავჭავაძის ქ. №8
10	ტარიელ ხითარიშვილი	ახალციხე, ვალე, მანველიშვილის ქ. №84
11	ალექსანდრე ჯანაშვილი	ახალციხე, ვალე, ბარათაშვილის ქ. №54
12	ბადრი გოზალიშვილი	ახალციხე, ვალე, ფარნავაზის ქ. №21
13	ჟენია მანველოვი	ახალციხე, ვალე, ფარნავაზის ქ. №28
14	ვანო ჯანაშვილი	ახალციხე, ვალე, ფარნავაზის ქ. №60
15	რევაზ ხითარიშვილი	ახალციხე, ვალე, ფარნავაზის ქ. №50
16	ლილი თათეშვილი	ახალციხე, ვალე, ფარნავაზის ქ. №11
17	თამაზ გოზალიშვილი	ახალციხე, ვალე, ჭავჭავაძის ქ. №11
18	პაველე ხითარიშვილი	ახალციხე, ვალე, ჭავჭავაძის ქ. №7/ა
19	კობა ხითაროვი	ახალციხე, ვალე, თამარ მეფის ქ. №82
20	ნოდარ ჩიტაშვილი	ახალციხე, ვალე, მანველიშვილის ქ. №105
21	თინა მანველოვი	ახალციხე, ვალე, მანველიშვილის ქ. №77
22	მალხაზ მანველიშვილი	ახალციხე, ვალე, კაკაჩიშვილის ქ. №7/ა
23	შალვა ხითარიშვილი	ახალციხე, ვალე, მანველიშვილის ქ. №78
24	ივანე ხითარიშვილი	ახალციხე, ვალე, მანველიშვილის ქ. №24
25	თენგიზ ჩიტაშვილი	ახალციხე, ვალე, კაკაჩიშვილის ქ. №14
26	პაატა ჩირგაძე	ახალციხე, ვალე, ბარათაშვილის ქ. №17
27	დავით გიორგაძე	ახალციხე, ვალე, ბარათაშვილის ქ. №7
28	ნოშრევან გიორგაძე	ახალციხე, ვალე, ბარათაშვილის ქ. №7/ა
29	ვაჟა მანველიშვილი	ახალციხე, ვალე, თამარ მეფის ქ. №1/ა
30	ნოდარ კოპაძე	ახალციხე, ვალე, ბარათაშვილის ქ. №56
31	რევაზ ჩიტაშვილი	ახალციხე, ვალე, გვარამაძის ქ. №17